

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სხდომის  
ოქმი №17

2021 წლის 21 დეკემბერი

ქ. ლაგოდეხი

**სხდომის თავმჯდომარე:** საკრებულოს თავმჯდომარე-კარლო ჯამბურია.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

საკრებულოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი-ივანე წიქარიშვილი;

მუნიციპალიტეტის მერი-ჯონდო მდივნიშვილი;

მერის მოადგილე-ნინო ბატიაშვილი;

მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი-გიორგი მანგოშვილი.

მერიის სოციალური სამსახურის უფროსი-ნატო ბატიაშვილი.

ა(ა)იპ-ბის ხელმძღვანელები: ნ. კობერიძე, ნ. თამაზაშვილი, ი. ცერცვაძე; თ. ბაღაშვილი, ბ. ხელაძე.

ტელეკომპანია „ფორმულას“ კორესპონდენტი-დ.ჭაბაშვილი.

-1-

*მოისმინეს:*

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: გ. მანგოშვილი, ნ. კუპრაშვილი/

**კენჭი უყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -19, წინააღმდეგი-0)**

**გადაწყვიტეს:**

შეტანილი იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №34 დადგენილებაში(www.matsne.gov.ge 28/12/2020, 190020020.35.167.016492).

/დადგენილება №23 თან ერთვის/

-2-

*მოისმინეს:*

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2021 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ნ. ბატიაშვილი/

**კენჭი უყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -19, წინააღმდეგი-0)**

**გადაწყვიტეს:**

შვიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის № 14-ი განკარგულების დანართში, კერძოდ საპივატიზებო ობიექტების ნუსხას დაემატოს მერიის საკუთრებაში არსებული ქონება.

/დადგენილება №24 თან ერთვის/

-3-

*მოისმინეს:*

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: გ. მანგოშვილი, ნ. კუპრაშვილი/

**კენჭი უყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -19, წინააღმდეგი-0)**  
**გადაწყვიტეს:**

დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტები დანართის შესაბამისად.  
/განკარგულება №93.93213551 თან ერთვის/

-4-

**მოისმინეს:**  
„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: გ. მანგოშვილი, ნ. კუპრაშვილი/

**კენჭი უყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -19, წინააღმდეგი-0)**  
**გადაწყვიტეს:**

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 17 იანვრის №11 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 18/01/2018, 010250050.35.167.01636).

/დადგენილება №25 თან ერთვის/

-5-

**მოისმინეს:**  
„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: გ. მანგოშვილი, ნ. კუპრაშვილი/

**კენჭი უყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -19, წინააღმდეგი-0)**  
**გადაწყვიტეს:**

შეტანილ იქნას ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №9 დადგენილებაში. ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 18/01/2018, 010250050.35.167.016358).

/დადგენილება №26 თან ერთვის/

საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია